FIX
ENERGY FINANCING MIX

გახდი თანამედროვე ენერგო ფინანსირების მიქსის მონაწილე!

პროექტის შესახებ

ე-ფიქსი სამწლიანი პროექტია, რომელიც ფინანსდება ევროკავშირის პროგრამის ჰორიზონტ 2020-ის ფარგლებში. კონსორციუმი შედგება 14 პარტნიორისგან ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის 6 ქვეყნიდან (ავსტრია, ხორვატია, ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთი), ასევე კავკასიის რეგიონიდან (სასომხეთი და საქართველო), რომელთაც აქვთ შესაბამისი გამოცდილება საფინანსო და ენერგო ეფექტურობის საკითხებში. ენერგო ეფექტურობისა და განახლებად ენერგო პროექტებზე მუშაობის ჩვენი ხანგრძლივი გამოცდილებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ პოტენციური ენერგო პროექტის შემუშავებისა და დაფინანსების საკითხებში ორივე მხარეს აქვს გარკვეული ბარიერები, რაც უკავშირდება ენერგო პროექტების განხორციელების შეფასებას და ინვესტიციების უზრუნველყოფას.
ე-ფიქსის ფარგლებში ჩვენი მიზანია კერძო ინვესტიციების მხარდაჭერა სხვადასხვა თანამედროვე ფინანსირების მექანიზმების გამოყენებით: საკრედიტო ხაზები ენერგო შესრულების კონტრაქტებისთვის, ჯგუფური ფინანსირების მოდელებისა და ენერგო ეფექტური/განახლებადი ენერგო პროექტების სალიზინგო მოდელებისთვის.

ჩვენი მიდგომა

ჩვენი სურვილია მიზანს მივაღწიოთ შემდეგნაირად:

- თანამედროვე ფინანსირების მექანიზმების შემუშავება, ანალიზი და სისტემატიზაცია პარტნიორი ქვეყნების ფარგლებში იდენტიფიცირებული ფინანსური ბარიერების საფუძველზე;
- ინოვაციური ფინანსური მექანიზმების შემუშავებისა და განხორციელების შესახებ პარტნიორებსა და მთავარ დაინტერესებულ მხარეებს შორის ცოდნის გადაცემა, მასტერ კლასებისა და ტრენინგების მომზადების საშუალებით;
- 6 ქვეყანაში და ევროპის დონეზე მდგრადი ფინანსირების მექანიზმის შექმნისთვის სტრატეგიული ეროვნული სამოქმედო გეგმებისა და ტრანსნაციონალური გზამკვლევის შემუშავება;
- ექვს პარტნიორ ქვეყანაში ენერგო ფინანსირების კომპეტენციის ცენტრების ჩამოყალიბება, რომელიც იქნება საკონტაქტო პუნქტი პრაქტიკოსებისთვის, ენერგო პროექტების განმახორციელებელი მხარეებისა და იმ პოტენციური ინვესტორებისათვის, რომლებიც ეძებენ ენერგო ფინანსირების შესაბამის მექანიზმებს;
- საპილოტე ფინანსირების კამპანიის განხორციელება, რომელიც წარმოაჩენს ე-ფიქსის მეთოდოლოგიას რეალურ გარემოში.

ე-ფიქსის მოსალოდნელი შედეგები

ე-ფიქსის შედეგად პარტნიორ ქვეყნებში გაიზრდება ენერგო პროექტებში ინვესტიციების განხორციელების მოცულობა. ჩვენი სურვილია 8.5 მილიონი ევროს ოდენობის ინვესტიცია გაიცეს ე-ფიქსის საპილოტე ფინანსირების კამპანიის ფარგლებში, ასევე დაახლოებით 48 მილიონი ევროს ინვესტიცია განხორციელდეს პროექტის ფარგლებს გარეთ. აღნიშნულის შედეგად, გენერირებული ენერგო დანაზოგი მიაღწევს 19.0 გვტსთ/წ, ხოლო განახლებადი წყაროებიდან დამატებით 1.6 გვტსთ/წ. ენერგიის მიღება მოხდება. ჩვენი მიზანია აგრეთვე პროექტის მონაწილეებს მივაწოდოთ მესაბამისი ცოდნა, კვალიფიკაცია ტრენინგებით და ინსტრუმენტები, რისი საშუალებითაც ისინი მომავალში გახდებიან ე-ფიქსის ელჩები - გაავრცელებენ და განახორციელებენ ე-ფიქსის მიდგომებს.

ჩვენ გვჭირდება თანამედროვე პროექტი - ენერგო ფინანსირების მიქსი, დაფინანსების ახალი წყაროების უზრუნველყოფისა და მეტი მდგრადი ენერგო პროექტის განსახორციელებლად!

გახდი ჩვენი ინიციატივის ნაწილი:

- მიიღე მონაწილეობა ადგილობრივ ტრენინგებში!
  ტრენინგები თქვენ საშუალებას მოგცემთ გაეცნოთ ფინანსირების სხვადასხვა მიდგომებს და მიიღოთ ენერგო პროექტების განხორციელებისთვის საჭირო უნარ-ჩვევები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თანამედროვე ფინანსირების მექანიზმების განხილვას (ენერგო შესრულების კონტრაქტები, ჯგუფური ფინანსირება და ლიზინგი), რომელიც მიჩნეულია რეგიონალურ კონტექსტში ყველაზე დიდი პოტენციალის მქონედ.
- გაეცანით ჩვენ მიერ შემუშავებულ ე-ფიქსის ინსტრუმენტებს!
  ინსტრუმენტთა ნაკრები სასარგებლო იქნება პროექტის იმ მონაწილეებისთვის, რომელთაც საკუთარ რეგიონებში საინვესტიციო საჭიროებები განსაზღვრული აქვთ. ამ ინსტრუმენტების საშუალებით შეფასდება ენერგო პროექტების ფინანსური მდგრადობა. ადგილობრივ დონეზე განისაზღვრება ტექნიკური და ფინანსური ბარიერები, რის შედეგადაც მოხდება ენერგო პროექტების მორგება თანამედროვე და შესაფერის ფინანსურ შესაძლებლობებზე .
- მიიღეთ მონაწილეობა ჩვენს საპილოტე კამპანიებში!
  ჩვენს ფინანსურ პარტნიორებთან თანამშრომლობით თქვენ შეგიძლიათ აწარმოოთ მოლაპარაკებები და მიაღწიოთ შეთანხმებას საპილოტე ფინანსირების კამპანიების განხორციელების შესახებ.
- მიიღეთ მხარდაჭერა ჩვენი გამოცდილი კონსორციუმისგან!
  ჩვენი კონსორციუმი შედგება თანამედროვე ფინანსირების მექანიზმების ტექნიკური და ფინანსური ექსპერტებისაგან 6 ქვეყნიდან. ჩვენ მზარ ვართ გაგიწიოთ მხარდაჭერა თქვენს საქმეში.

გახდი ე-ფიქსის ელჩი!

შეხვდი პარტნიორებს:

- კონპლუსულტრა GmbH (ავსტრია) www.conplusultra.com
- კავკასიის უნივერსიტეტი (საქართველო) www.cu.edu.ge
- ვენის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტი (ავსტრია) www.wu.ac.at
- კონდა AG (ავსტრია) www.conda.at
- მაზოვის ენერგო სააგენტო (პოლონეთი) www.mae.com.pl
- სამხრეთ ბოჰემიის მხარდაჭერისა და ინოვაციების სააგენტო (ჩეხეთის რესპუბლიკა) www.jaip.eu
- ეკოპორტი (ჩეხეთის რესპუბლიკა) www.ekoport.cz
- ზაგრების ინოვაციის ცენტრი (ხორვატია) https://www.zicer.hr/
- ჩრდილო-დასავლეთ ხორვატიის რეგიონალური ენერგო სააგენტო (ხორვატია) www.regea.org
- კავკასიის საკონსულტაციო ჯგუფი (სასომხეთი) www.caucasusconsulting.org
- ACBA ლიზინგის საკრედიტო ორგანიზაცია (სასომხეთი) www.acba.am
- ენერგო ინვესტირების კონსულტანტები (საქართველო) www.eic.ge
- საქართველოს სალიზინგო კომპანია (საქართველო) www.leasing.ge
- იპოპემა ფინანსური კონსულტაცია (პოლონეთი) www.ipopema.pl

www.energyfinancing.eu

დაუკავშირდით პროექტის კოორდინატორს
CONPLUSULTRA GMBH
ანდრეას კარნერი
ANDREAS.KARNER@CONPLUSULTRA.COM
WWW.ENERGYFINANCING.EU

This project has received funding from the European Union's Horizon 2020 research and innovation programme under grant agreement No 785081. Disclaimer: The content of this material does not reflect the official opinion of the European Union. Responsibility for the information and views expressed lies entirely with the author(s).